

12. Melikishvili D., *Language and Style of Ioane Petritsi*. Tbilisi 1975 (in Georgian). (მელიქიშვილი დ., *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი*. თბილისი 1975)
13. Nemesius of Emesa. *On human nature*. Ed. S. Gorgadze. Tbilisi 1914 (in Georgian). (ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათვის კაცისა* (იოანე პეტრიწის თარგმანი). გამოსცა ს. გორგაძემ. თბილისი 1914).
14. Offermans W., „Concerning five causes in Ioane Petritsi and Thomas Aquinas“. *Matsne, No. 3*, pp. 55-56, Tbilisi 1972 (in Georgian). (ოფერმანსი ვ., „ხუთი მიზეზის შესახებ იოანე პეტრიწთან და თომა აკვინელთან“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, No.3*, გვ. 55-56, თბილისი 1972)
15. Pantskhava I., *Petritsi*. Moscow. Mysl, 1982 (in Russian). (Панцхава И.Д. *Петрици*. Мысль, Москва 1982).
16. Tevzadze G., *Ioane Petritsi*. Tbilisi 2008 (in Georgian). (თევზაძე გ., *იოანე პეტრიწი*. თბილისი 2008)

იოანე პეტრიწი და მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური პროექტი

ლევან გიგინეიშვილი

ასოციირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოანე პეტრიწს, შოთა რუსთაველთან, სოლომონ დოდაშვილთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა ფშაველასთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ინტელექტუალურ კულტურაში. ეს სახელები გამოხატავენ გარკვეული მსოფლმხედველობითი სტერეოტიპების გარღვევას, ტრადიციის ჩარჩოებიდან გამოსვლას, ტრადიციის მოდიფიკაციას ახალი ცოდნისა და გამოცდილების შუქზე. ნებისმიერი ტრადიცია, თუ არ ხდება მისი ახალი და ახალი შემოქმედებითი გააზრება ამა თუ იმ ეპოქის მსოფლიო ინტელექტუალური პროცესების შუქზე, იქცევა ინერციად, რომელიც აღარ ტოვებს სივრცეს აფეთქებისთვის და წრეზე იწყებს ბრუნვას. პეტრიწისნაირ მოაზროვნეებს სწორედ ამგვარი წრეების გახსნას უნდა ვუმადლოდეთ; კერძოდ, პეტრიწმა შემოიტანა საქართველოში ფილოსოფია ამ მცნების პირველადი, ანტიკური გაგებით. ეს გაგება ითვალისწინებს ადამიანის ბუნებრივ სურვილს, მისწრაფებას, წადილს გაიგოს და ახსნას სამყარო არა გარედან მიღებული სქემებით (რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული), არამედ საკუთარი აზროვნებით, საკუთარი, თანდაყოლილი გონიერი პრინციპის ამოქმედებით. ამ ამოქმედებას ბერძნები დიალექტიკას უწოდებდნენ და მას თავისი წესი და კულტურა აქვს. დიალექტიკა არის ობიექტური აზროვნების დინამიური სივრცე, სადაც მას, ვინც დიალექტიკოსობს, სჯერა, რომ აზროვნების ამგვარი მეთოდით ის გამოდის პიროვნული, სუბიექტური სივრციდან და ფიქრობს

ისე, როგორც იფიქრებდა მთელი კაცობრიობა, ანუ, უნივერსალურად. ამგვარი უნივერსალური ფიქრი ითვალისწინებს შეთანხმებად ტერმინებსაც, სხვანაირად ეს არ იქნება დიალექტიკური ფიქრი, რადგან დიალექტიკა რეალურ თუ ვირტუალურ თანამოფიქრალსაც ითვალისწინებს, რომელიც აღიარებს და იზიარებს ცნებების სისტემას, ცნობს მათ სემანტიკას, და ამიტომაც მისი დარწმუნებაც შესაძლებელია ლოგიკური გამომდინარეობების გზით, ან როგორც პეტრიწი იტყოდა "იმულებითა თანშესიტყვათადათა". თუმცა, როგორც აღვნიშნე, ეს ფიქრი დამყარებულია პირველად და პიროვნულ დიდ ვნებაზე - შეიცნო სამყარო, და ამ შეცნობით დაამყარო მასთან უფრო ადექვატური, ავთენტური ურთიერთობა; გამოდის, რომ ფილოსოფიურ-დიალექტიკური აზროვნება ერთდროულად უკიდურესად პიროვნული და სუბიექტურია - რადგან ისევე არ არსებობს კოლექტიური განცვიფრება და კოლექტიური შემეცნების ვნება, როგორც კოლექტიური პოეტური შთაგონება, ან კოლექტიური რომანტიკული შეყვარება - და ამავე დროს უნივერსალურიც და ყველა ადამიანზე გამწვდომიც. სწორედ უნივერსალურობის რწმენა იწვევს ფილოსოფოსში თავისი ნააზრევის სხვებისთვის გაზიარების დაუოკებელ სურვილს და არა მარტო სურვილს, არამედ მოვალეობის განცდასაც. პეტრიწიც ამგვარი გაზიარების სურვილით ჩამოვიდა საქართველოში, თავისი მისიონერული როლის მკაფიო ხედვით.

თუმცა ფილოსოფია პეტრიწამდეც შემოვიდა საქართველოში იოანე დამასკელის "დიალექტიკის" თარგმნის გზით. იოანე დამასკელმა გამოიყენა პორფირის "შესავალი არისტოტელეს კატეგორიებში" და დაურთო თავის ნაშრომს - "ცოდნის წყაროს". როგორც ეფრემ მცირე, "დიალექტიკის" პირველი ქართველი მთარგმნელი წერს, ამ ტექსტამდე მსგავსი შინაარსის ტექსტები ქართულში არ ყოფილა თარგმნილი. იმავე საუკუნეში ეს ტექსტი ხელახლა თარგმნა არსენ იყალთოელმა, როგორც ჩანს, უკმაყოფილომ წინა თარგმნის სიზუსტის ხარისხით. ეფრემი ფილოსოფიური თავების თარგმნის გამართლებად მიიჩნევს იმას, რომ ამ ცოდნით ქრისტიანები შეძლებენ არაქრისტიანი ფილოსოფოსების თავდასხმებისაგან თავის დაცვას და მეტიც, თვით მათივე იარაღით ამ ფილოსოფოსების დამარცხებას. ანუ, ფილოსოფიას ეფრემი უმსახურებს ქრისტიანული რელიგიის და თეოლოგიის საჭიროებას. არსენი შესაძლოა უფრო შორს მიდის. ამის ვარაუდის საშუალებას მაძლევს ის, რომ დავით აღმაშენებელი, ვისი მოძღვარიც არსენი იყო, როგორც თავის „გალობანი სინანულისანიში“ ამბობს, სწავლობდა ბერძნულ ფილოსოფიას, რომელსაც „ღვთიურ სიბრძნესაც“ უწოდებს პავლე მოციქულის ციტატის მოხმობით. შესაძლოა მისი გზამკვლევი ფილოსოფიაში სწორედ არსენი იყო. თან საინტერესოა ფრაზა, რომელსაც დავითს მიაწერენ: „მე იმ დროის კაცი ვარ, როდესაც არსენი დაროჯიდს სჭამდა, ნოსელს თარგმნიდა და ცვილსა სოფია წმიდასა იგი მარტო იქმოდა“. ეს ფრაზა, აღწერს ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური ბერძენი მამის, გრიგოლ ნოსელის თარგმნას ქართულად არსენის მიერ, და მისი ენიგმატური დასასრული, რომ არსენი "სოფია წმიდის ცვილს მარტო აკეთებდა", შესაძლოა ნიშნავს, რომ არსენი წმინდა სიბრძნის/სოფიის სანთელს ანთებდა, ანუ ცდილობდა ქრისტიანობისა და ფილოსოფიის დაკავშირებას. გელათის სკოლის სულისკვეთებაც, ჩანს, ამ

დაკავშირებაში იყო, ამიტომაც გელათს დავითის ანონიმი ისტორიკოსი ათენისა და იერუსალიმის ერთობად სახავს. გელათის სკოლის მთარგმნელები განსხვავებით ათონელებისაგან უკვე თარგმნიან ზედმიწევნითი სიზუსტით ფილოსოფიური ტექსტებსაც. განსაკუთრებით საინტერესო ამ მხრივ არის VI საუკუნის ალექსანდრიული ფილოსოფიის სკოლის წარმომადგენლის, ამონიოს ერმიასის ნაშრომის თარგმანი. პირველივე თავებში ამონიოსი ფილოსოფიის სხვადასხვა განმარტებას იძლევა, მათ შორის ასეთსაც: „ფილოსოფოსობა არს მსგავსება ღმრთისა რაოდენიცა ვინ უძლოს“. თუმცა ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი იოანე პეტრიწამდე არ დაწერილა. იოანე პეტრიწი ამგვარად სრულ ვაკუუმში არ იწყებდა პიონერულ საქმეს - მიეცა თავისი გელათელი სტუდენტებისთვის სისტემური, ფუნდამენტური ფილოსოფიური განათლება.

ჩვენამდე მოღწეული ნაშრომები, რომლებიც ნამდვილად პეტრიწს ეკუთვნის სამია: 1. ნემესიოს ემესელის „ადამიანის ბუნებისათვის“, რომელიც პეტრიწმა, ჩანს, ადრეულ პერიოდში თარგმნა და აქა-იქ კომენტარებიც დაურთო; 2. ფსალმუნების თარგმნის წინასიტყვაობა, რაც ფილოსოფიისა და ქრისტიანული რელიგიის ჰარმონიის ერთგვარი მანიფესტია და 3. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი, პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების საფუძვლების“ კომენტირებული თარგმანი. თავად ეს ნაშრომები აჩვენებენ პეტრიწის მთავარ მიზანს - შემოიტანოს ფილოსოფიის სისტემური, დისციპლინირებული სწავლების კურსი; ნემესიოსის თარგმნის შემთხვევაში ეს არის ყოვლისმომცველი ანთროპოლოგიური, პროკლეს შემთხვევაში კი ასეთივე მეტაფიზიკური ტრაქტატი. რაც შეეხება ფსალმუნების წინასიტყვაობას, როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, პეტრიწმა იგი დაურთო ფსალმუნების თავისსავე კომენტირებულ თარგმანს. სამწუხაროდ ტექსტის ეს, მთავარი ნაწილი დაკარგულია. მე ვფიქრობ, იგი შეგნებულად განადგურდა ცენზურის მიერ, რომელმაც მხოლოდ შესავალი დაინდო, მაგრამ სახიფათოდ ჩათვალა ქრისტიანული ღვთისმსახურების მთავარი ტექსტის, ფსალმუნების, მეტაფიზიკური ფილოსოფიის პრიზმით წარმოჩენა.

პეტრიწის ხედვა, მისი მთავარი ინტუიცია არის ის, რომ სამყაროს, მის მთელს სისავსეს, აქვს ობიექტური, მწყობრი სტრუქტურა, აგებულება, მისი სიტყვებით, „არსთა თანაწარმოდგომილი სარწმუნოება“, რომელიც შემეცნებადია ჩვენი, ადამიანური ინტელექტისთვის დიალექტიკური მსჯელობის გზით; რომ სამყარო არ არის მხოლოდ ის, რაც გრძნობების მეშვეობით გვეძლევა, არამედ გრძნობადის მიღმა მისი ზეგრძნობადი საფუძვლები იმალება, რომლებიც უშუალოდ არ გვეცხადება, არამედ აღმოსაჩენია ჩვენი გონების ძალისხმევით. იმას, რითაც ჩვენ სამყაროს ვიმეცნებთ, პეტრიწი უწოდებს ჩვენს შინაგან „დიალოგურ სიტყვას“ („ჩვენს შორისი მიდმოსიტყვაა“), ან შინაგან „ჰერმესს“, ე.ი. ინტერპრეტაციის და გაგების იმანენტურ პრინციპს. ეს იმანენტური სიტყვა კი მოქმედებაში მოდის ღვთიურ სიტყვასთან „ხახუნში“, ანუ დიალექტიკური აზროვნება მართულია ღვთიური სიტყვით - ეს არის სინერგიული თანა-მოქმედება ჩვენი შიანგანი ლოგოსისა ღვთიურ ლოგოსთან. ზემოთ ვთქვი, რომ პეტრიწის აზრით სამყაროს სტრუქტურა და მისი უხილავი საფუძვლები შემეცნებადია, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ ადამიანი მოვალეცაა შეასრულოს ეს შემეცნებითი აქტი, რადგან ყველაზე პრინციპულად

სწორედ შემეცნების ამ დიალექტიკური უნარით განსხვავდება ადამიანი პირუტყვებისაგან. მაგრამ დიალექტიკური უნარის ამოქმედებას სჭირდება ზუსტი ცნებითი აპარატი, მწყობრი ტერმინოლოგიური სისტემა, მეტაფიზიკისთვის ადეკვატური ტექნიკური ენა. უპირველეს ყოვლისა, ამ ენის შექმნას სახავს პეტრიწი ფილოსოფიის, ანუ ხილულიდან უხილავამდე მოგზაურობის აუცილებელ პირობად. ფაქტობრივად ის ამბობს, რომ მანამდე სანამ თავად შექმნიდა ამგვარ ტექნიკურ ენას, საქართველოში არ სრულდებოდა და ვერც შესრულდებოდა მოგზაურობა ხილულიდან უხილავამდე ფილოსოფიური მეთოდით.

პლატონური ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის პეტრიწისეული სინთეზი დაფუძნებულია მის აპრიორულ რწმენაზე, რომ ორივე ერთსა და იმავე ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობს. თუ ადამიანის მიზანია მიაღწიოს მეტაფიზიკური, გონითსაწვდომი კოსმოსის (ან, როგორც პეტრიწი უწოდებს “ადმკულის”) ჭკრეტას, სადაც მარადიულად და ჩაუქრობლად ყვავიან სრულყოფილი იდეები, და თუ ბიბლია ჭეშმარიტი გამოცხადებაა, მაშინ ეს გამოცხადებაც სხვა არაფერია, თუარადა მეტაფორული მოთხრობა ამ სრულყოფილ იდეებთან ადამიანის დაკავშირებაზე. ფაქტობრივად, პეტრიწისთვის ნეოპლატონური ფილოსოფია არის გასაღები ბიბლიის მეტაფორების გახსნისათვის და მათში მეტაფიზიკური ხედვების აღმოჩენისათვის. ამგვარად ბიბლიური „ადამი“ პეტრიწისთვის იდეების სამყაროში მყოფი, ჩამოუვარდნელი სულის მეტაფორაა, ხოლო სამოთხის ხეები ის სრულყოფილი იდეები, რომლებსაც ეს სული უჭკრეტდა ჩამოვარდნამდე, ანუ გონებრივი ფრთების (მისი მეტაფორაა პლატონის „ფედროსიდან“) დაკარგვამდე; ადამიანის ისტორიული ცხოვრების მიზანი კი ამ გონიერი ფრთების ისევე “გამოსხმა” და ზემატერიალური, პეტრიწის სიტყვებით, “ნივთთაგან მიუხეხელი” მჭკრეტელობის დაბრუნებაა. ადამის მიმართ ღმერთის სიტყვები “სად ხარ ადამ?”, პეტრიწს ესმის რიტორიკულ შეკითხვად: „ნახე, შენმა უგუნურებამ საიდან სად (ანუ ზემატერიალურიდან მატერიალურამდე) ჩამოგადლო“. უფრო მეტიც, პეტრიწი აკეთებს ნეოპლატონური ფილოსოფიის რეალიების პირდაპირ დაკავშირებას ქრისტიანული თეოლოგიის რეალიებთან. მისთვის ნეოპლატონისტური ფილოსოფიის უთქმელი და გონებისთვის მიუწვდომელი ტრანსცენდენტური ერთი - მამა ღმერთია, ერთის შემდგომი მეტაფიზიკური პრინციპები, პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვრობა, შესაბამისად, ერთთან „გაურთიერთარსებული“ ძე და სულიწმინდაა. ეს არ არის მხოლოდ შედარებები, არამედ გაიგივებები, რადგან პეტრიწი არ ცხოვრობს ორ განცალკევებულ - პლატონური ფილოსოფიის და ქრისტიანული რეველაციის - სამყაროებში, არამედ ქმნის ერთიან სამყაროს ამ ორი ტრადიციისაგან. გასაკვირი არ არის, ამდენად, რომ პლატონს მიაწერს ერთის მხრივ პროკლეს სიტყვებს, მეორეს მხრივ კი გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებს, რადგან ორივე, პროკლეცა და გრიგოლიც პლატონის დიალოგების დაფარული და ბუნდოვანი ადგილების განმმარტებლები და გამომაჩინლები არიან. პეტრიწისთვის პავლე მოციქულის სიტყვები მეტაფიზიკურ თეორიებს გამოხატავენ. მაგალითად, პავლეს ფრაზას „რომელმან არმყოფს უწოდა მყოფი“ პეტრიწი სვამს ნეოპლატონური ტერმინოლოგიის კონტექსტში და გვაწვდის თეორიას, რომლის მიხედვითაც ღმერთი, ანუ ტრანსცენდენტური ერთი, აწარმოებს

უსტრუქტურო და გაუფორმებელ მატერიას, რომელიც არმყოფია იმ აზრით, რომ ჩვენი გონებისთვის შეუცნობელია (რადგან გონება პრინციპულად უძლურია შეიმეცნოს ის, რასაც სტრუქტურა არ აქვს), მაგრამ ტრანსცენდენტური ერთისთვის ეს არმყოფი, ცხადია, არ არის არმყოფი, არამედ მყოფი. შესაძლოა პავლეს თმები ყალყზე დადგომოდა თავისი სიტყვების ამგვარი ინტერპრეტაცია რომ მოესმინა, მაგრამ ეს არის პეტრიწის მეთოდი: დაინახოს მეტაფიზიკური მარცვლები წმინდა წერილში და მიუსადაგოს ისინი პროკლეს და სხვა ნეოპლატონიკოსების ჭეშმარიტ ხედვებს. პეტრიწი იმდენად დარწმუნებულია და იმდენად პოზიტიური თავისი დიადი სინთეზისა და ჰარმონიის შესაძლებლობაში და მართებულებაში, რომ არ ამჩნევს, ან ცდილობს არ შეამჩნიოს გადაულახავი შეუსაბამობები პლატონურ ფილოსოფიასა და მართლმადიდებელი ეკლესიის, რომლის წევრადაც თავს ხედავს, შეხედულებებს შორის. მაგალითად, ერთისაგან სამყაროს აუცილებელი ემანაციისა და სამყაროს არაფრისგან შექმნის ქრისტიანული დოქტრინის შეუსაბამობა, რომელიც უმთავრესი განხეთქილების და კამათის საგანი იყო ნეოპლატონურ სკოლასა და ქრისტიანობას შორის. ნეოპლატონისტები პროკლე და სიმპლიკიოსი ტრაქტატებს წერდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ სწორედ ამ საკითხზე. ქრისტიანი იოანე ფილოპონოსი კი თავს მოვალედ თვლიდა ქრისტიანული შესაქმნის პოზიციიდან უარყოფა არისტოტელესეული იდეა სამყაროს და უძრავი მამოძრავებელის თანამარადიულობის შესახებ. პეტრიწისთვის ეს პრობლემა არ არსებობს, ხოლო პროკლეს ცხოვრებას ის აღწერს როგორც წმინდანის ცხოვრებას, რომელმაც ასკეტური ღვაწლით და დიალექტიკური ძალისხმევით მიაღწია ღვთიურ მჭვრეტელობას. ანუ პეტრიწი ჩანს აიგივებს შექმნასა და ემანაციას. ის იყენებს ტერმინს “შექმნა”, მაგრამ არ არის ცხადი, გულისხმობს თუ არა ამ შექმნაში მყისიერ აქტს, თუ ღმერთისაგან სამყაროს მარადიულ ქმნადობაზე საუბრობს, რაც შეიძლება ემანაციის ენაზეც თარგმნო. ემანაციასთან კიდევ ერთი პრობლემაა: სამყარო არა მარტო გადმოიფრქვევა ერთისაგან, არამედ მეტაფიზიკურ ციკლში უბრუნდება კიდევ ერთს და არ არის გამოსვლა დაბრუნების ანუ უკუნეულობის გარეშე. თუ ეს ციკლი გარკვეული აზრით აუცილებელი ციკლია, მაშინ როგორ დავაკავშიროთ ეს ქრისტიანულ დოქტრინასთან დემონების ღმერთისაგან მარადიული მოწყვეტის შესახებ? თუ ეს დემონები ამ დაბრუნების ციკლის გარეთ იმყოფებიან, მაშინ ისინი საერთოდ სამყაროს გარეთაც არიან, რადგან სამყაროში ვერაფერი ვერ უსხლტება ამ ციკლს. მაგრამ თუ ისინიც მონაწილეობენ ამ ციკლში, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი მოწყვეტა ღვთისაგან არ არის რადიკალური და მარადიული და მათაც შეუძლიათ დაბრუნება. ეს ორიგენისეული აპოკატასტასისის იდეა პეტრიწთან ცხადად არა არის მოცემული, მაგრამ მისი მეტაფიზიკიდან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს, რადგან ხილულ და უხილავ სამყაროში ყველაფერი წილნაყარია ერთისაგან გამოსვლის და მასში დაბრუნების ციკლთან. შემდეგი შეუსაბამობა პლატონიზმსა და ქრისტიანობას შორის არის სულების წინაარსებობის პლატონური დოქტრინა და ქრისტიანული დოქტრინა სულისა და სხეულის ჰიპოსტატური ერთობის შესახებ, რომელიც უარყოფს სულის წინაარსებობას. ამ საკითხში პეტრიწი, ვფიქრობ, პლატონიზმის მხარეს იკავებს. მისთვის სული წინაარსებობს და ადამიანის ისტორიული დაბადება

სულის „ქმნად [ე.ი. გრძნობად სამყაროში] შთამოვრდომაა“. ამაში პეტრიწი მიჰყვება ძველ ქრისტიანულ ტრადიციას, რომელიც ორიგენედან იღებს სათავეს. სწორედ ამ ტრადიციის მიმდევარია მის მიერ ნათარგმნი ქრისტიანი ავტორი ნემესიოს ემესელიც; პეტრიწი უკომენტაროდ თარგმნის მის ბიბლიურ ეგზეგეზას იმის შესახებ, რომ ექვსი დღის მერე ღმერთის დასვენება მეტაფორულად აღნიშნავს იმას, რომ ღმერთმა ყველა სული შექმნა, და რომ სიტყვა „ქმნა“ იოანეს სახარების პასაჟში “მამაჩემი დღემდე იქმს და მეც ვიქმ” აღნიშნავს უკვე შექმნილის განგებას და არა შექმნას, ამდენად ტყუიან ისინი, ვინც ამბობს, რომ სული სხეულთან ერთად იქმნება. ეს და ამგვარი იდეები (მაგალითად, ამგვარივე იდეები ჰქონდა სულის შესახებ ქრისტიან ეპისკოპოს სინესიუს კირენელსაც) ოფიციალურად უარყო მეხუთე საეკლესიო კრებამ, მაგრამ პეტრიწი ქრისტიანულ აზროვნებაში არსებულ ერთ-ერთ ძველ, მეხუთე კრებამდე არსებულ ტრადიციას მიჰყვება. კიდევ ერთი პრობლემაა პლატონური იერარქიული კაუზაციის მორიგება ტრინიტარულ ხედვასთან არაიერარქულ კაუზაციაზე მამისგან ძის და სულიწმინდის. პეტრიწი ერთ შემთხვევაში ვერტიკალურ-იერარქიულად წარმოაჩენს მამის მიმართებას საზღვართან-ძესთან და უსაზღვროობასთან-სულიწმინდასთან, მაგრამ სხვა შემთხვევებში, როდესაც საუბრობს მათ „გაურთიერთარსებულობაზე“ ან როდესაც მოჰყავს მუსიკალური ანალოგია, ვფიქრობ, გამორიცხავს იერარქიულობას. პეტრიწი ასევე დიდ პრობლემას გადააწყდა, როდესაც თარგმნიდა და განმარტავდა პროკლეს ჰენადურ თეორიას. პროკლესთან ჰენადები - მარადიული ღმერთებია; მათ პოლითეისტი პროკლე ეთაყვანება. პეტრიწი კი ჰენადებს „ღმერთებს“ მხოლოდ რელატიური გაგებით უწოდებს, რადგან მისთვის ისინი არიან „ქმნულნი ერთნი“ და „ზიარებით განღმერთობილნი“, რაც ახალი და სავსებით არაპროკლესიური დოქტრინაა და აშკარად ქართველი ფილოსოფოსის ქრისტიანობიდან გამომდინარე მოდიფიკაციას წარმოადგენს. პეტრიწის თეორია ეროსზე, ვფიქრობ, ასევე განსხვავდება ნეოპლატონური სწავლებისაგან. კერძოდ, ნეოპლატონიზმში ეროსი ერთისადმი სრულდება მისტიკური, გამოუხატველი ერთობით, სადაც სრულდება სწრაფვა. პეტრიწთან კი როგორც ჩანს ეროსი არასდროს სრულდება და სწრაფვა სწრაფვას მოსდევს. ეს კი ისეთი ქრისტიანი მოაზროვნეების მისტიკას თანხვდება, როგორებიცაა გრიგოლ ნოსელი თავისი იდეით მარადიულ მისწრაფებაზე თუ წინ-გაწვდომაზე ღმერთისადმი (ე.წ. ეპეკტასისი), ან სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, რომელიც თავის რელიგიურ პოეზიაში საუბრობს წყურვილზე, რომელიც ვერასდროს კმაყოფილდება წყლით-ღვთის მადლით-არამედ წყურვილს წყურვილი მოსდევს. ეს საკითხი, ვფიქრობ უფრო ფოკუსირებულ კომპარატიულ შესწავლას მოითხოვს.

პეტრიწის მიერ შესრულებული პროკლეს ტრაქტატის თარგმანი და განმარტება მრავალმხრივია საინტერესო თანამედროვე მკვლევარებისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება პეტრიწის ნაშრომს აქვს აღმოსავლურ-ქრისტიანულ, ბიზანტიურ აზროვნებაში პლატონიზმისა და კერძოდ პროკლეს როლის შესწავლისთვის. ბიზანტიაში მკაცრი იმპერიული ცენზურის გამო არ გვაქვს ნაშრომი, რომელიც ნეოპლატონური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის პეტრიწისავით გაბედულ ჰარმონიზაციას მოახდენდა. არც პსელოსთან და არც თავად ერეტიკოსად

შერაცხილ იტალოსთან მსგავსი მასშტაბის სინთეზის მცდელობა არ არის. ამდენად, პეტრიწი შეიძლება მოწმობდეს იმაზე, რაც დაფარული და მიუწვდომელია მხოლოდ ბერძნულენოვან წყაროებზე დამყრდნობი მეცნიერებისათვის.

ამავე დროს პეტრიწის მიერ თარგმნილი “ღვთისმეტყველების საფუძვლები” უნიკალურ მნიშვნელობას ატარებს ნეოპლატონიზმის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტის მკვლევარებისთვის. ეს ჯერ კიდევ ამ ტრაქტატის ყველაზე ცნობილმა გამომცემელმა, ბრიტანელმა დოდსმა აღნიშნა და გამოიყენა კიდევ პეტრიწის მიერ თარგმნილი ზოგიერთი პასაჟი ავთენტური პროკლეს დადგენისათვის. პეტრიწის თარგმნის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შესრულებულია მეთორმეტე საუკუნეში, ან ყველაზე უგვიანეს, მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამდენად ის ბერძნული ხელნაწერი (თუ ხელნაწერები), რომელიც პეტრიწს ედო წინ მინიმუმ რამდენიმე ათწლეულით უფრო ადრინდელია, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული უადრესი ხელნაწერი (მათ შორის ყველაზე ადრინდელი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნას ეკუთვნის). რამდენადაც დღემდე მოღწეული ხელნაწერები განსხვავებულ ტრადიციებს ეკუთვნიან და ზოგჯერ სავსებით განსხვავებულ წაკითხვებს გვაძლევენ, პეტრიწის თარგმანი, რომელიც ძირითადად ცდილობს სარკისებრი სიზუსტით გადმოსცეს პროკლეს ტექსტი, შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გასაღები, რომელიც ირიბად გვაჩვენებს თუ როგორი წაკითხვა იყო მის ბერძნულ ხელნაწერში. პროკლეს ტექსტის სამომავლო გამოცემებისთვის, ამდენად, პეტრიწის თარგმანს შეიძლება ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდეს. განსაკუთრებით ინტერესს, ამ მხრივ, წარმოადგენს პეტრიწის ტექსტში არსებული ერთი თავი, რომელიც არ არის პროკლეს ამ ტრაქტატის ჩვენამდე მოღწეულ არცერთ ხელნაწერში. კერძოდ ეს ეხება თავს ღვთაებრივ და დაიმონურ სულებზე (რომლებსაც პეტრიწი თარგმნის როგორც “ემმაკებრივნი სულნი”). ზემოთხსენებული დიდი ბრიტანელი მკვლევარი დოდსი ამ თავს მიიჩნევს არაავთენტურად და ეს ერთ-ერთი მიზეზიცაა მისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭოს პეტრიწის თარგმნით მიწვდომად ბერძნულ ტექსტს. თუმცა სხვა მეცნიერებს (ალექსიძე, გიუნტერი) აქვთ საინტერესო არგუმენტები, რითაც ისინი ამტკიცებენ ამ თავის ავთენტურობას. მიუხედავად ზემოთქმულისა, საჭიროა დიდი სიფრთხილე როდესაც პეტრიწის ტექსტის საშუალებით აღვადგენთ პროკლეს სავარაუდო ბერძნულ ტექსტს, ვინაიდან პეტრიწი ზოგჯერ საკმაო თავისუფლებას იჩენს თარგმანის დროს. ხდება, რომ სხვადასხვა, ფილოსოფიური, თეოლოგიური თუ პედაგოგიური მიზეზების გამო შეგნებულად ცვლის მას, ან შეცდომით ესმის და ამიტომ თარგმანშიც შეაქვს თავისი აზრი, რომელიც ზოგჯერ ძალიან ღირებულია ფილოსოფიის თვალსაზრისით, მაგრამ ადექვატურად კი არ გადმოსცემს პროკლეს.

პეტრიწის ოცნება იყო დაეფუძნებინა მკვიდრი ფილოსოფიური ტრადიცია საქართველოში და თავისი ბადალი ფილოსოფოსები აღეზარდა, მისივე სიტყვებით „მსგავსი და ნაცვალი ეშთინა.“ როგორც ჩანს, პეტრიწმა იმას მაინც მიაღწია, რომ გელათში შექმნა ფილოსოფიის სისტემური კურსი, რომელიც კლასიკური განათლების ყველა კომპონენტს შეიცავდა: გრამატიკა-რიტორიკა-ლოგიკით (ტრივიუმი) დაწყებული არითმეტიკა-გეომეტრია-ასტრონომია-მუსიკით

(კვადრივიუმი) დამთავრებული, რაც გვირგვინდებოდა მეტაფიზიკით, ანუ ფილოსოფიური თეოლოგიით. პეტრიწის ტრადიცია სამწუხაროდ არ გაგრძელდა საქართველოში ისტორიული ძნელბედობის გამო. თუმცა ქართული კულტურის ერთგვარი სამარკო ნიშანი, შოთა რუსთაველი, შეუძლებელია წარმოიდგინო და განიხილო პეტრიწის გარეშე. რუსთაველის მთელი ფილოსოფიური ტერმინოლოგია პეტრიწის გავლენას აჩვენებს, ხოლო მისი თეორია ეროსზე ანუ მიჯნურობაზე, როგორც სულის ზე-ამყვან ღვთიურ ძალაზე თითქმის ყველაფერში მიჰყვება პეტრიწის სწავლებას, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, თუმცა ეს ცალკე მსჯელობის თემაა. პეტრიწს შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში დიდ პატივს სცემდნენ, მის ნაშრომებს რუდუნებით იწერდნენ, როგორც მაღალი ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პეტრიწი ესმოდათ, რადგან მხოლოდ ტექსტი არ კმარა მისი გავებისთვის, როდესაც აღარ არის ის ინტელექტუალური გარემო, სადაც მსგავსი ტექსტი ქმედითი მსჯელობის, ცოცხალი დიალექტიკური მსჯელობის საგანი გახდებოდა; ან სადაც იქნებოდა განმმარტებლად მასწავლებელი, პეტრიწივით განდობილი ფილოსოფიური მეტაფიზიკის პლატონურ ტრადიციას. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ზოგჯერ გადამწერებს გარკვეული ხიფათის გრძნობაც ჰქონდათ პეტრიწის ხელნაწერთან ურთიერთობისას, რაც ერთ-ერთ მინაწერში ასე ცხადად ჩანს. პეტრიწით აღფრთოვანებული იყო ანტონ კათალიკოსი, თუმცა საეკლესიო მას ადექვატურად ესმოდა პეტრიწის ნააზრვეი, რადგან არ იცნობდა ნეოპლატონურ ტრადიციას, ანუ იმ საფუძველს რაზეც დგას პეტრიწის ფილოსოფია. მაგრამ ანტონისთვის პეტრიწი სხვა მხრივაც იყო საინტერესო - როგორც ენის რეფორმატორი და ახალი, ტექტნიკური ფილოსოფიური ენის შემქმნელი. ეს მაგალითი, ცხადია, უმნიშვნელოვანესი იქნებოდა ენის თეორიის შემქმნელი და ენის რეფორმატორი ანტონისათვის.

პეტრიწის მკვლევარები

ნიკო მარს ეკუთვნის პეტრიწის შესახებ პირველი სამეცნიერო სტატია [10, გვ. 55-56], რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მის შემდეგ, 1914 წელს ს. გორგაძემ გამოსცა იოანე პეტრიწის თარგმნილი ნემესიოსის “ზუნებისათვის კაცისა” და თავისი წინასიტყვაობა დაურთო [7]. პეტრიწის პოპულარიზაციას საბჭოთა კავშირში ხელი შეუწყო მისი კომენტარების ილია ფანცხავას მიერ შესრულებულმა რუსულმა თარგმანმა, რომელიც დახვეწეს და ხელახლა გამოსცეს პოპულარულ ფილოსოფიურ სერიაში გურამ თევზაძემ და ნოდარ ნათაძემ [11]. ი. ფანცხავას ეკუთვნის რუსული მონოგრაფიაც პეტრიწზე [12]. პეტრიწზე დაწერეს მონოგრაფიები შალვა ხიდაშელმა [9], თამარ კუკავამ [5] და გურამ თევზაძემ [2], რომელიც ასევე ავტორია მრავალი საგულისხმო სტატიისა როგორც ქართულ ისე პრესტიჟულ დასავლურ პერიოდიკაში. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტრიწის ტექსტის ქართულ გამოცემას შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (1937 წელს განმარტებები და 1940 წელს პროკლეს ტექსტის თარგმანი) [4]. თუმცა გამომცემლებისთვის არ იყო მისაწვდომი მეცამეტე საუკუნის უძველესი H-1337 ხელნაწერი. გამომცემლებმა დაურთეს შესავალი სტატიებიც. პირველ ტომს შესავალი

სტატია დაურთო მოსე გოგიბერიძემ (1940). პეტრიწის ენაზე სიღრმიესეული გამოკვლევის ავტორია დამანა მელიქიშვილი [6], მასვე ეკუთვნის მრავალი საინტერესო სტატია პეტრიწზე, როგორც მის ენაზე, ისე ფილოსოფიაზე, და მისი კომენტარების ახალქართული თარგმანი [3]. პეტრიწის შესწავლა წინ წაწიეს ანა ხარანაულმა, ედიშერ ჭელიძემ, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა, რომ ე.წ. “ბოლოსიტყვაობა” სინამდვილეში ფსალმუნების წინასიტყვაობაა, თინათინ ცქიტიშვილმა, ქეთევან ბეზარაშვილმა, მაგდა მჭედლიძემ ა.შ. ცალკე უნდა ვახსენოთ ლელა ალექსიძე, რომელმაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პეტრიწის კვლევაში და პოპულარიზაციაში. მრავალი სტატიის, როგორც ქართულ ისე უცხოურ პერიოდიკაში, გარდა ლელა ალექსიძემ დაწერა მონოგრაფია პეტრიწის ანტიკურ-ფილოსოფიურ წყაროებზე [1], რომელიც სახელმძღვანელოდ იქცა პეტრიწის მკვლევარებისთვის, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლუტც ბერგერმანთან ერთად, შეასრულა პეტრიწის კომენტარების გერმანული თარგმნის გამოცემა [15], რითაც პირველად მისაწვდომი გახადა ეს ტექსტი ევროპული აუდიტორიისთვის. თენგიზ ირემიძემ თავის მონოგრაფიაში [16] პეტრიწის აზროვნება, კერძოდ კი მისი თეორია ინტელექტზე, შეადარა გერმანულ მისტიკოსებს დიტრიხ ფრაიბერგელს და ბერტოლდ მოოსბურგელს, რითაც პეტრიწი მკვიდრად დანერგა შუა საუკუნეების ფილოსოფიაზე დასავლურ სამეცნიერო დისკურსში; თენგიზსვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი სტატია პეტრიწზე სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედიისთვის (2006). ჩემი და სტატიები ინგლისურ და ქართულ ენაზე, განსაკუთრებით კი ამერიკაში გამოცემული მონოგრაფია [13] ასევე, ვფიქრობ პეტრიწის ფილოსოფიის ფართო აუდიტორიისთვის გაცნობის მხრივ უმნიშვნელო არ არის. პეტრიწზე დაიწყეს წერა უცხოელმა ავტორებმაც. პირველი მათგანი იყო გერმანელი ვოლფგანგ ოფერმანსი (1972), რომელმაც შეადარა პეტრიწის და თომა აქვინელის იდეები კაუზაციაზე [8]. თანამედროვე გერმანელი მეცნიერი ჰანს გიუნტერი დაინტერესდა პეტრიწის ტექსტის მნიშვნელობით პროკლეს უძველესი ტექსტის დადგენისთვის. ამ მეცნიერმა გამოსცა კვლევა [14] და ბერძნულად თარგმნა კიდევ პეტრიწის ქართული თარგმანის ოცი თავი, როგორც ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ქართული ტექსტით პროკლეს ავთენტურ ტექტზე გასვლა. ამ სტატიის ავტორი უნგრელ პროფესორ იმტვან პერცელთან ერთად დღესდღეისობით მუშაობს პეტრიწის სრული ტექსტის ინგლისურ თარგმანზე, რაც იმედია ორ წელიწადში იხილავს თავის მკითხველს.

იოანე პეტრიწის გარეშე უკვე მნელია წარმოიდგინო მსოფლიო სამეცნიერო დისკურსი შუა საუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიაზე, მით უმეტეს, რომ ქრისტიანული და პლატონური ტრადიციების თამამი ჰარმონიის პეტრიწისეულ მოდელს არ ჰყავს ანალოგი არც ბიზანტიაში და არც ევროპაში.

ბიბლიოგრაფია:

1. ალექსიძე ლ., *იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია*, თბილისი 2008.
2. თევზაძე გ., *იოანე პეტრიწი*, თბილისი 2008.

3. იოანე პეტრიწი, *განმარტება პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“*. თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, გამოკვლევა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო დამანა მელიქიშვილმა, თბილისი 1999.
4. იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი I. *პროკლე დიადოხოსის პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი*. ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. შესავალი სტატია - მოსე გოგობერიძისა. თბილისი 1940. /იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი II. განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი 1937.
5. კუკავა თ., *იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა*. თბილისი 1971.
6. მელიქიშვილი დ., *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი*, თბილისი 1975.
7. ნემესიოს ემესელი, *ბუნებისათვის კაცისა* (იოანე პეტრიწის თარგმანი). გამოსცა ს. გორგაძემ. თბილისი 1914.
8. ოფერმანსი ვ., “ხუთი მიზეზის შესახებ იოანე პეტრიწთან და თომა აკვინელთან”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, No.3, თბილისი 1972.
9. ხიდაშელი შ., *იოანე პეტრიწი*. თბილისი 1956.
10. Март Н., *Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века*, Санкт Петербург 1909.
11. Иоанэ Петрици, *Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадокха*. Редакторы тома Г.В. Тевзадзе, Н.Р. Натадзе. Вступительная статья и примечания Г.В. Тевзадзе. Перевод с древнегрузинского языка И.Д. Панцхавы. Москва 1984.
12. Панцхава И.Д., Петрици, Москва: Мысль, 1982.
13. Gigineishvili L., *The Platonic Theology of Ioane Petritsi*. Gorgias Press, NJ 2007.
14. Günther Hans-Christian, *Die Übersetzungen der Elementatio Theologica des Proklos und ihre Bedeutung für den Proklostext*. Leiden: Brill, 2007.
15. Ioane Petrizi, *Kommentar zur Elementatio theologial des Proklos*. Überzetzung aus dem Altgeorgischen, Anmerkungen, Indices und Einleitung. Herausgegeben von Lela Alexidze und Lutz Bergerman. Bochumer Studien zur Philosophie, 47. B.R. Grüner Publishing Company, 2009.
16. Iremadze T., *Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus. Zur Rezeption der Proklischen Philosophie im deutschen und georgischen Mittelalter: Dietrich von Freiberg, Berthold von Moosburg, Joane Petrizi*, Amsterdam/Philadelphia 2004